

სალომე ბოჯგუა

არასრულწლოვანის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია,  
როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი  
თბილისი, 0178, საქართველო  
2021 წელი

საავტორო უფლება © 2021, სალომე ბოჯგუა

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი  
იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
სამაგისტრო ნაშრომის ავტორი

სამაგისტრო ნაშრომის ავტორი (სახელი და გვარი, სამუშაო ადგილი,  
წოდება, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონი)  
სალომე ბოჯგუა  
შსს სიპ მოსახურების სააგენტო  
უმცროსი ლეიტენანტი  
Sakobojgua@gmail.com

ვადასტურებ, რომ სამაგისტრო ნაშრომი  
არასრულწლოვანის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია,  
როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი

1. მომზადებულია ჩემ მიერ და იგი:

- ა. არ არღვევს მესამე პირთა საავტორო უფლებებს საავტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად.
- ბ. სრულად და ნაწილობრივ არ არის გამოყენებული მონოგრაფიები ჩემი ან სხვა ნებისმიერი პირის მიერ აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
- გ. ვაცხადებ, რომ ჩემ მიერ შესამოწმებლად წარმოდგენილი ნაშრომის ელექტრონული და ნაბეჭდი ვერსიები ემთხვევა ერთმანეთს.

ავტორის ხელმოწერა: .....(სალომე ბოჯგუა)

თარიღი: .....

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ  
მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი სალომე ბოჯგუას მიერ შესრულებულ  
სამაგისტრო ნაშრომს-პროექტს: **არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-  
რეაბილიტაცია, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი და მზად არის  
დასამტკიცებლად.**

ხელმძღვანელი:

---

თარიღი : .....20.03.2021

## შესავალი

სასჯელი არის სამართლიანობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი. რაც განიხილებოდა წლების განმავლობაში. სასჯელის მიზნის სწორად განსაზღვრა საკითხის უფრო ღრმა ანალიზს მოითხოვს. რაც მნიშვნელოვანია სახელმწიფოს არსებობისთვის. სასჯელის მიზნების შესწავლა ასევე მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციისთვის. რესოციალიზაცია, როგორც მსჯავრდებულის უფლება, რომელიც სოციალური სახელმწიფოს პრინციპით არის განპირობებული, წარმოადგენს სისხლის სამართლის პოლიტიკის ერთ-ერთ ინსტრუმენტს, რომელიც უნდა იცავდეს საზოგადოებრივ წესრიგს.

სასჯელის მიზნების განხილვა, სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის, განსაკუთრებით არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა რესოციალიზაციისა-რეაბილიტაციის გათვალისწინებით, ქართულ რეალობაში აქტუალურია.

არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ სტატისტიკა, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, მიუთითებს მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა-რეაბილიტაციის პრინციპის ეფექტური განხორციელების აბსოლუტურ საჭიროებაზე, რაც სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაცია- რეაბილიტაცია, როგორც სასჯელის მთავარი მიზანი, არ უნდა დარჩეს მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით გათვალისწინებული დებულება,

უპირველეს ყოვლისა, ეს უნდა განიხილებოდეს, როგორც სახელმწიფოს მოვალეობა, უზრუნველყოს მსჯავრდებულთა საზოგადოებაში დაბრუნება.

ნაშრომის **პირველი თავი** დაეთმობა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის, აღზრდის გააზრებას და მის მნიშვნელობას, არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალურ მიდგომას, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ურთიერთმიმართებას დანაშაულის პრევენციასთან.

**მეორე თავი** შეეხება რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე მსჯელობას, ესენია: რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესი არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში, არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნები, არასრულწლოვნებში დანაშაულის გამომწვევი მიზეზები, დასაქმების ხელშეწყობა, ფსიქოლოგის კონსულტაცია და რესოციალიზაციის პროგრამები არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში.

ნაშრომის **მესამე თავი** ეძღვნება დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის სააგენტოს მიზნებს, მათი საქმიანობის პრინციპებს, ალტერნატიული სასჯელების მნიშვნელობას მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისათვის, სოციალური მუშაკის ფუნქციებს და მისი საქმიანობის პრინციპებს.

ძირითადი საკვლევი საკითხები და ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა	
შესავალი .....	4
ლიტერატურის მიმოხილვა.....	7
თავი I. არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია .....	8
1. რესოციალიზაცია .....	8
1.2. რეაბილიტაცია.....	11
1.3. აღზრდა.....	12
1.4. არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა.....	15
1.5. რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ურთიერთმიმართება.....	16
დანაშაულის პრევენციასთან .....	16
თავი II. რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესი არასრულწლოვანთა	
სარეაბილიტაციო დაწესებულებაში .....	18
2.1. არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი მიზეზები.....	18
2.2 არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნები.....	21
2.3 რესოციალიზაციის პროგრამები არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო	
დაწესებულებაში .....	23
2.4 დასაქმების ხელშეწყობა .....	24
მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისათვის.....	26
2.5 ფსიქოლოგის კონსულტაცია.....	28
თავი III. დანაშაულის პრევენციის, არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და	
პრობაციის შესახებ.....	29

3.1. პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიზნები.....	29
3.2 პრობაციის ეროვნული სააგენტოს პრინციპები.....	29
3.3. ალტერნატიული სასჯელების მნიშვნელობა.....	35
3.4. სოციალური მუშაკის ფუნქციები და პრინციპები.....	35
დასკვნა .....	36
გამოყენებული ლიტერატურა .....	<b>Error! Bookmark not defined.</b>

## ლიტერატურის მიმოხილვა

2015 წლის 12 ივნისს ამოქმედებულმა კანონმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა ამ სფეროს განვითარებას ჩაუყარა საფუძველი. კანონს ძირეული და ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ევროკავშირისკენ მიისწრაფვის და ჩვენს სახელმწიფოს ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი აქვს ვალდებულებები, მათ შორისაა კანონების ჰარმონიზაცია. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით დიდ ყურადღებას აქცევენ, რაც მათ მიერ არაერთი დოკუმენტის მიღებით დასტურდება. კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ. კონვენციის სხვადასხვა მუხლები არეგულირებს სახელმწიფოს როლს ბავშვის უფლებებში, ასევე, პეკინის წესები, რიადის სახელმძღვანელო პრინციპები, ჰავანის წესები და სხვა. ნაშრომში განხილულია სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომები და გამოყენებულია მათი მოსაზრება, რომლებსაც ვიზიარებთ, ნაწილობრივ ვიზიარებთ ან არ ვეთანხმებით. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მონაპოვარია და ის დღეის მდგომარეობით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოქმედებს. ნაშრომი ითვალისწინებს არასრულწლოვანების რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის საკითხებს, სადაც განხილულია

სხვადასხვა ავტორების მოსაზრებები. ასევე განხილულია სტატისტიკა არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულების შესახებ.

ნაშრომში კვლევის დროს ასევე გამოყენებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, სასამართლო კანონის წინაშე თანასწორობას ძირითად და უმნიშვნელოვანეს პრინციპად მიიჩნევს, რომელიც მიზანად ისახავს ადამიანების მიმართ უთანასწორო მოპყრობის აღმოფხვრად.

ნაშრომში ასევე გამოყენებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კუთხით არსებული წიგნები, სხვადასხვა სტატიები, ნაშრომები და ინტერნეტ მასალა.

## თავი I. არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია

### 1. რესოციალიზაცია

ნებისმიერ საზოგადოებას აქვს გარკვეული სოციალური ნორმები და კულტურული ღირებულებები. მათი განვითარება იწყება ადამიანის დაბადებიდანვე. ამასთან, ცხოვრების განმავლობაში მათთან ადაპტაციამ შეიძლება შეიტანოს სხვადასხვა ცვლილებები. ადამიანები ქორწინდებიან, იცვლიან საცხოვრებელ გარემოს, სამსახურს, ურთიერთობენ სხვადასხვა სოციუმთან და ზოგი სასჯელადსრულების დაწესებულებაში ხვდება. ცხადია, რომ ცხოვრების წესის შეცვლისას აუცილებელია ახალ სოციალურ გარემოში გადასვლა ახალი გაუმჯობესებული ან/და გაუარესებული პირობებით. რესოციალიზაცია განიხილება, როგორც პროცესი, რომლის დროსაც ადამიანები ითვისებენ სოციალურ ნორმებსა და კულტურულ ღირებულებებს, სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ადამიანი ამას ვერ შეძლებდა, ან თუ მის ცხოვრებაში გარემოებები შეიცვალა, იგი უნდა ადაპტირდეს შეცვლილი გარემოებებისადმი. რესოციალიზაცია შეიძლება იყოს, მაგალითად: სტუდენტებისთვის პროფესიის დამდგენი უნარ-ჩვევების ტესტირება ან/და სამსახურ დაკარგული ადამიანებისთვის ხელახალი პროფესიული გადამზადების



პროგრამაში მისი მონაწილეობა და სხვა. რესოციალიზაცია ხშირად დესოციალიზაციას მოსდევს ან პირიქით.

ამ ნორმის დისპოზიციიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დამნაშავეს რესოციალიზაცია სასჯელის ერთ-ერთი მიზანია.

მიზანშეწონილია, რომ რესოციალიზაციის ზუსტი დეფინიციისათვის განვიხილოთ თუ რა არის დესოციალიზაცია. დესოციალიზაცია ხდება მაშინ, როდესაც ადამიანი ანტისოციალური ნორმებისა და ღირებულებების გავლენის ქვეშ მოექცევა. შედეგად, ის იწყებს ანტისოციალური ქცევის გამოვლენას. ადამიანი გარიყულად გრძნობს თავს და შესაბამისად იქცევა სოციალური ნორმებისა და კულტურული ღირებულებების საწინააღმდეგოდ, საბოლოოდ კი შედეგი შეიძლება იყოს სამართალდარღვევა ან/და დანაშაულის ჩადენა. ასევე, დესოციალიზაცია შეიძლება მოხდეს ადამიანებთან ხანგრძლივი კონტაქტის არარსებობის გამო. მაგალითად, ინდივიდმა რამდენიმე თვე გაატარა შვებულებაში და სამუშაოდ დაბრუნებულს ახალი გუნდი დახვდა. მისთვის შეიძლება საკმაოდ რთული იყოს კოლეგებთან ურთიერთობა. ამიტომ, ასეთ თანამშრომელს გარკვეული პერიოდი მოუწევს ახალი თანამშრომლებისგან განმარტოვება ან შესაძლოა ამ ინდივიდის კოლექტივთან შერწყმას დიდი დრო დასჭირდეს. დესოციალიზაცია შეიძლება იყოს ასევე ოჯახში არასათანადო აღზრდის შედეგი. მშობლების სურვილი დაიცვან ბავშვი სირთულეებისგან - ამ ყველაფერმა მასში შეიძლება არასწორი ღირებულებები ჩანერგოს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში ადამიანს სჭირდება ქცევის კორექცია. სწორედ, რომ ქცევის კორექციაა რესოციალიზაცია. თუ დესოციალიზაცია მოიცავს ზოგადად მიღებული წესების უარყოფას, მაშინ რესოციალიზაციის დროს, პირიქით, ისინი ბრუნდებიან.

ჩემი აზრით, ამ ორი პროცესის ერთდროულად შერწყმის საინტერესო მაგალითი შეიძლება იყოს ადამიანის მონასტერში გამგზავრება. ერთის მხრივ, ამ დროს ადამიანი უარს ამბობს ზოგადად მიღებულ წესებზე, ე.ი. დესოციალიზაცია აშკარაა და ამავდროულად მეორეს მხრივ, ეს ადამიანი სულიერად უმჯობესდება და მდიდრდება.

აღსანიშნავია, რომ რესოციალიზაციას ახორციელებენ ფსიქოლოგები, სოციოლოგები, იურისტები და სხვა პროფესიის წარმომადგენლები. მათი მთავარი ამოცანაა ინდივიდისთვის ახალი ცხოვრებისეული ღირებულებების დანერგვა. ამ პროცესს აქვს სხვადასხვა ფორმა, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ ვისკენ არის მიმართული ის. მაგალითად: უსახლკაროთა რესოციალიზაცია ხელს უწყობს მათი საცხოვრებლით უზრუნველყოფას, საზოგადოებაში ადაპტირებას, სამუშაოს პოვნას და მათი უფლებებისა და თავისუფლების დაცვას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რესოციალიზაცია ეხმარება ასეთ ადამიანებს მოერგონ ცხოვრებას მსოფლიოს გარშემო. რაც შეეხება მსჯავრდებულთა რესოციალიზაციას ვთვლი, რომ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია ნიშნავს მათ დახმარებას, გამოსწორებასა და ანტისოციალური ქცევის აღმოფხვრას. ამისათვის სულაც არ არის საჭირო ადამიანისთვის თავისუფლების წართმევა. რესოციალიზაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც სამართალდამცავი ორგანოების, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების, შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. ყოველივე ამ პროცესში ოჯახი მნიშვნელოვან როლს ასრულებს და გამოდის როგორც ფასილიტატორი. მინდა აღვნიშნო, რომ რესოციალიზაციის ინსტიტუტი მოიცავს სამ კომპონენტს: პროფილაქტიკა, კორექცია, აღდგენა. ჩემი აზრით, ზემოაღნიშნული სამი ფაქტორი შეიძლება დავახასიათოთ შემდეგნაირად. 1. პროფილაქტიკის დახმარებით ადამიანს უნერგავენ ანტისოციალური ქმედებებისთვის დასჯის გარდაუვალობას. 2. კორექცია ხელს უწყობს ადამიანის შეცვლას, მისი კრიმინალური ჩვევები და ქმედებები იცვლება ჩვეულებრივი უნარ-ჩვევებით. 3. აღდგენა გაგებულია,

როგორც მსჯავრდებულის მხარდაჭერა გათავისუფლების შემდეგ. მას ეხმარებიან ყოველდღიურ ცხოვრებაში და დასაქმებაში. ამაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრი. გარშემომყოფებმა უნდა გამოავლინონ ტოლერანტობა ასეთი ადამიანების მიმართ, საზოგადოებას უნდა ესმოდეს ის, რომ ადამიანი უკვე დაისაჯა დანაშაულისთვის და ის ამის გამო არ უნდა იტანჯებოდეს სიცოცხლის ბოლომდე, თუ ეს ადამიანი გამოსწორების გზას აირჩევს.

ამასთან დაკავშირებით მიიღო განცხადება, რომ რესოციალიზაციის არსი არის მსჯავრდებულის პირის მიმართ ინდივიდუალური გამოსასწორებელი პროგრამების გამოყენება და მისი საჭიროებების განსაზღვრა, ამის შემდგომ კი მართებულად მიმაჩნია, სახელმწიფომ და ოჯახმა თავისი პასუხისმგებლობის ფარგლებში მოახდინოს ამ პირის საზოგადოებაში ინტეგრაცია. რესოციალიზაციის მიზანია, ხელი შეუწყოს დამნაშავეს სოციალურ ინტეგრაციაში და ამით აღმოფხვრას დანაშაულის ან/და სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა.

აღნიშნული დეფინიციიდან გამომდინარე შესაძლოა, გამოიყოს რესოციალიზაციის რამდენიმე მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტი, ესენია: სოციალური სახელმწიფო, დამნაშავეს უფლება საზოგადოებაში დაბრუნებაზე და სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, რაც გამოიხატება პროგრამების და ინიციატივების არსებობაში. ეს შემადგენლები საბოლოოდ ქმნის რესოციალიზაციის ინსტიტუტს მიმზიდველს, ეფექტურსა და სამართლიანს.

## 1.2. რეაბილიტაცია

რეაბილიტაცია შეიძლება განიხილოს როგორც უფლებების აღდგენა, დაკარგული კეთილსინდისიერი სახელის აღდგენა, უსაფუძვლო ბრალდების გაუქმება უდანაშაულო პირის ან პირთა ჯგუფის წინააღმდეგ დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

ამ დებულების შინაარსიდან შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფო ახდენს პირის რეაბილიტირებას ზიანის ანაზღაურების კუთხით, თუმცა მორალური ზიანის ანაზღაურებაზე არაფერია ნათქვამი. მიმაჩნია, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების მატერიალური გამოხატულება უნდა მოხდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, ასევე მინდა აღვნიშნო, რომ კონსტიტუციაში მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე ჩანაწერის არ არსებობა არ გამორიცხავს, ზიანის მიმყენებლისგან ასეთი მოთხოვნის დაყენების შეუძლებლობას.

რეაბილიტაცია შესაძლოა გულისხმობს ინდივიდზე მორგებული ინდივიდუალური პროგრამის მეშვეობით დასახული მიზნის მიღწევას, მაგალითად: (ლუდომანიაზე უარის თქმა), ხოლო რესოციალიზაცია უფრო ზოგადი ხასიათით შეიძლება შემოიფარგლოს.

### 1.3. აღზრდა

მინდა შევეხო საქართველოს სისხლის სამართლის 1960 წლის კოდექსს. ამავე კოდექსში სასჯელის რესოციალიზაციის მიზანი შემდეგი რედაქციით იყო ჩამოყალიბებული:

ამ ნორმის დისპოზიციიდან აშკარაა, რომ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებდა დამნაშავეს ხელახალ აღზრდას, რაც დღევანდელი რედაქციით მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული არ არის, მიმაჩნია, რომ ერთის მხრივ, არ არის მართებული და მიზანშეწონილი, რადგანაც სახელმწიფოს, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ვალდებულებაა, უზრუნველყოს თითოეული თავისი მოქალაქის ღირსეული ცხოვრება და ინტეგრაცია საზოგადოებაში, რისი შესაბამისი რესურსიც თითოეულ სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს. თუმცა, მეორე მხრივ, ნათელია მისი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არ ასახვა. სასჯელის ის მიზანი, რომ დამნაშავე

გამოსწორდეს, მიღწეულად უნდა მივიჩნიოთ იმ შემთხვევაშიც, როდესაც დამნაშავე პირი აღარ ჩაიდენს დანაშაულს.

ყურადსაღებია პროფ. მ. შალიკაშვილის მითითება. ის ამბობს,

მინდა აღვნიშნო, რომ პროფ. მ. შალიკაშვილის მითითებას სრულიად ვიზიარებ, რადგანაც ძალიან რთულად წარმოსადგენია, რომ ზრდასრული ადამიანი აღზარდო, რადგანაც მას უკვე გააჩნია კულტურული ღირებულებები, ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა და ქცევის წესი, ხოლო არასრულწლოვანის შემთხვევაში მისი აღზრდა, მისთვის საზოგადოებაში მიღებული წესების, კულტურული ღირებულებების და მსოფლმხედველობის ჩანერგვა და განვითარება შედარებით მარტივია.

სოციალიზაციას მნიშვნელოვანი როლი აქვს სანქციათა სისტემის სფეროში. აქვს დასჯილ ადამიანს სოციალიზაციის პროცესი გავლილი? ეს იქნებოდა საფუძველი, რათა ვისაუბროთ რესოციალიზაციაზე. შოხი გამოდის იქედან, რომ დამნაშავეთა უმეტესობას რესოციალიზაციის პროცესი ჯერ ან არ აქვს გავლილი ან კიდევ მცირე დოზის გაიარა ან/და გადის. ამ შემთხვევაში, მისი აზრით, ეს იქნება არა საზოგადოებაში ინტეგრაცია, არამედ ახალი ინტეგრაცია. ჰილბრანდი მხარს უჭერს შოხს. იგი ამბობს, რომ არიან ადამიანები, რომლებიც დანაშაულს მხოლოდ იმიტომ ჩადიან, რომ ისინი საზოგადოებაში ვერ მკვიდრდებიან. მისი წინადადებაა, სოციალიზაციის ცნება გამოვიყენოთ, ვინაიდან იგი რესოციალიზაციის ცნებას მოიცავს.<sup>1</sup>

საინტერესოა თუ რა არის იურიდიული/სამართლებრივი სოციალიზაცია, ამასთან დაკავშირებით კანონმდებლობის დონეზე არ არის საუბარი და თუმცა შესაძლოა კანონმდებლობას სიღრმისეული დაკვირვებისა და მისი ანალიზის საფუძველზე ვთქვათ, რომ იურიდიული/სამართლებრივი სოციალიზაცია ეს არის ინდივიდის მიერ სოციალური და იურიდიული ფასეულობების განვითარების ათვისების პროცესი, რომლის საფუძველზეც იქმნება შეგნებული პოზიტიური სოციალურ-იურიდიული და ფსიქოლოგიური დამოკიდებულება, რომელიც

---

<sup>1</sup> იხ. C. Schneck, Übergangsmanagement zur besseren (Re-) Sozialisierung? Eine vergleichende Fallstudie am Beispiel erwachsener Klienten, Hamburg, 2012, S. 6-7.

განსაზღვრავს ინდივიდის ქცევას მოცემულ სოციალურ და იურიდიულ სივრცეში. არასრულწლოვნებში სამართლებრივი სოციალიზაციის ძირითად ეტაპებად შეიძლება მივიჩნიოთ:

- ✓ პირველადი იურიდიული სოციალიზაციის ეტაპი - (ცხოვრების პერიოდი 10-დან 13 წლამდე), სადაც აითვისება სამართლებრივი კულტურის საფუძვლები და სამართლებრივი ღირებულებები, რომლებიც ქმნიან მის მომავალ სამართლებრივ ცნობიერებას, რომელიც განაპირობებს არასრულწლოვანის შემდგომ დამოკიდებულებას სამართლისა და სამართლებრივი რეალობის მიმართ.
- ✓ გარდამავალი ეტაპი (14-16 წლის არასრულწლოვნების ცხოვრების პერიოდი), როდესაც სამართლებრივი სოციალიზაციის პროცესზე დიდ გავლენას ახდენს მოზარდის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მახასიათებლების ინტენსიური ფორმირება, რაც გამოიხატება მათ არასტაბილურობაში, სოციალური ცხოვრების უარყოფითი მხარეების უფრო მძაფრად აღქმა.
- ✓ ინდივიდის სტაბილური სოციალიზაციის ეტაპი (ცხოვრების პერიოდი 17-18-დან 25-30 წლამდე), სტაბილური სამართლებრივი ღირებულებების ფორმირება, ადამიანის იურიდიული მენტალიტეტი, მის სოციალურ და იურიდიულ საქმიანობაზე გავლენის მოხდენა და ვარიანტების არჩევა. იურიდიული ქცევა და სამართლებრივი ცოდნისა და იურიდიული კულტურის სრულყოფილი დონის დახასიათება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ სოციალიზაციას გააჩნია უმნიშვნელოვანესი როლი ინდივიდში სოციალური და იურიდიული ფასეულობების, კულტურული ღირებულებების, საზოგადოებაში დამკვიდრებული წესების პატივისცემის და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

#### 1.4. არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბავშვები დღეის მდგომარეობით მსოფლიოს მასშტაბით აყვანილი არიან განსაკუთრებული დაცვის სუბიექტების სტატუსში და მათ იცავს მთელი რიგი ეროვნული თუ საერთაშორისო სტანდარტები.

შინაარსობრივად ეს შეიძლება განიმარტოს ისე, რომ კონვენციის ნებისმიერი ხელმომწერი სახელმწიფო აღიარებს ბავშვის უფლებებს და თავისუფლებებს, იცავს მათ ინდივიდუალიზმს და პიროვნების ჩამოსაყალიბებლად ყველა ელემენტს, ეხმარებიან და იცავენ მათ ინდივიდუალურობას.

არასრულწლოვნების უფლებებს ისტორიულად არეგულირებდა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, რომლის 111-ე მუხლის თანახმად: ამ მუხლის ანალიზი გვიჩვენებს სახელმწიფოს მზაობას არასრულწლოვნების უფლებების დაცვა და გარანტიებზე, მართებულია ის მოსაზრება, რომ 1921 წლის კონსტიტუცია იყო იმ პერიოდის ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია, რასაც კიდევ ერთხელ 111-ე მუხლი ადასტურებს.

##### მე-14 მუხლი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-14 მუხლით გათვალისწინებული პრინციპი უზრუნველყოფს არასრულწლოვნებისათვის ინდივიდუალური და განსხვავებულ მიდგომას სრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებულებისგან.

ინდივიდუალური მიდგომა, ჩემი აზრით, ნიშნავს, რომ სასამართლომ გადაწყვეტილების მიღების დროს არასრულწლოვნის ინდივიდუალური ნიშან-თვისებები უნდა გაითვალისწინოს და მათი გათვალისწინებით უნდა იქნეს გადაწყვეტილება გამოტანილი.

მე-14 მუხლის ანალიზიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ ეს პრინციპი არ არის უნივერსალური, ანუ მისი ყოველ ჯერზე გამოყენება სხვადასხვა არასრულწლოვნებთან დაკავშირებით არის მიუღებელი, რადგანაც ინდივიდუალური მიდგომის მიზანი, ამოცანა და შინაარსობრივი დატვირთვა სწორედ ისაა, რომ მოხდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების და არასრულწლოვნების ინდივიდუალურად შეფასება

## 1.5. რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ურთიერთმიმართება

### დანაშაულის პრევენციასთან

არასრულწლოვანთა დანაშაული თანამედროვე ქართული საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ყურადსაღები პრობლემაა. მიინდა აღვნიშნო, რომ არასრულწლოვნები სულ უფრო და უფრო ხშირად ჩადიან დანაშაულს საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად, გასართობად, ეკონომიკური სირთულეების დასაძლევად და სხვა მიზნების მისაღწევად. მიმაჩნია, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარე ფაქტორები რომლებიც ზემოქმედებენ არასრულწლოვანზე და ახდენენ მის ფორმირებას, მაგალითად: გეოგრაფიული მდებარეობა, კულტურული ღირებულებები, სოციალური წრე და ა.შ.

მართებული მითითებაა და ვიზიარებ, რადგანაც ინდივიდს აქვს თავისუფალი დრო იმისათვის, რომ დაფიქრდეს და სრულიად გაიაზროს მისი ქმედების შედეგი და მოახდინოს საკუთარ თავზე მუშაობა, სულიერი და ცნობიერის გაძლიერება და ადაპტირება ახალ ან/და განახლებულ რეალობასთან.

როგორც უკვე ჩემს ნაშრომში ზემოთ აღვნიშნე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილი ამბობს, რომ სასჯელის კიდევ ერთი მიზანია, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, მეორენაირად მას პრევენციას უწოდებენ.

პრევენცია ნიშნავს ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლის მიზანია რაიმე მოვლენის წინასწარ აღმოფხვრა.



ცხადია და სარწმუნოა, რომ დანაშაულის ძირფესვიანად აღკვეთა ან/და აღმოფხვრა წარმოუდგენელი და შეუძლებელიც კია, მაგრამ ეს მოცემულობა არ აძლევს უფლებას არც სახელმწიფოს და არც საზოგადოებას, რომ მის ხელთ არსებული ყოველი შესაძლებლობა არ უნდა გამოიყენოს, დანაშაულების საგრძნობლად შესამცირებლად და საუკეთესო შემთხვევაში მის სრულად აღმოსაფხვრელად.

მიმაჩნია, რომ აღნიშნული მოსაზრება არის მართებული, რადგანაც საზოგადოებაში მზარდმა სოციალურ-ეკონომიკურმა, მსოფლმხედველობითმა, კულტურულმა, ზნეობრივმა გარემოებებმა და დანაშაულის ჩადენის ზრდამ, განაპირობა ის, რომ სახელმწიფოსათვის მართვის სადავეები გადაეცა საზოგადოებას.

პროფ. მ. შალიკაშვილი მიიჩნევს, ამ მოსაზრებას ვეთანხმები, რადგანაც, თუ სახელმწიფო არ იქნება ორგანიზატორი, დამგეგმავი და პრობლემების გადამჭრელი ორგანო, მაშინ სრული განუკითხაობა იქნება სახელმწიფოში და საზოგადოების თითოეული წევრი გააკეთებს იმას, რაც მას სურს.

ლ. ვაჩიშვილის ამ მოსაზრებას ვიზიარებ, რადგანაც, მას გააჩნია დღევანდელ რეალობაში პრაქტიკული და თეორიული დატვირთვა, რაშიც იგულისხმება ის, რომ თითოეულ დანაშაულს აქვს თავის შესაბამისი სასჯელი და არ იქნება მიზანშეწონილი ის, რომ მაგალითად: ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის დამნაშავე დაისაჯოს სიკვდილით.

სასჯელის სპეციალური პრევენცია,

აღნიშნულ მოსაზრებას ნაწილობრივ ვეთანხმები, რადგანაც, საზოგადოების თითოეულ წევრს გააჩნია უფლება რესოციალიზაციარეაბილიტაციაზე, და სიტყვები „რომლის გამოსწორებაც ჯერ კიდევ შესაძლებელია“ იწვევს იმის ვარაუდის საშუალებას, რომ სახელმწიფო თვითონ საზღვრავს ვინ დაექვემდებაროს რესოციალიზაციის სახელმწიფო პროგრამას.

## თავი II. რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესი არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში

### 2.1. არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი მიზეზები

ამ მოსაზრებას ნაწილობრივ ვიზიარებ და დამატებით მინდა განვმარტო, რომ არასრულწლოვანთა დანაშაული ჩვენი დროის ერთ-ერთი გლობალური პრობლემაა, რომლის გადაჭრით დაინტერესებულია მთელი მსოფლიო საზოგადოება. ეს აიხსნება ახალგაზრდა თაობის გადამწყვეტი როლით საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფასა და მის განვითარებაში. კანონმდებლობაზე დაკვირვება და მისი ანალიზით ირკვევა, რომ კონსტიტუციის, საერთაშორისო აქტების და შიდა კანონმდებლობის საფუძველზე განხორციელებული სამართლებრივი სოციალური გარდაქმნების შედეგად, რომელიც ძირითადად მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას, დიდი ყურადღება ექცევა სამართალდამცავი ორგანოების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სოციალური ინსტიტუტების შექმნას.

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრობლემების შესწავლა მოითხოვს კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებას, ისეთები როგორებიცაა: პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, ოჯახური და სხვა გარემოებები, რომელთა ფონზეც ყალიბდება და ვითარდება კრიმინოგენული პროცესები. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს გარემოებები შესაძლოა უარყოფით გავლენას ახდენდეს

არასრულწლოვნებზე. არასრულწლოვანთა დანაშაულობას აქვს საკუთარი მიზეზები, რომლებიც გაგებულია როგორც უარყოფითი სოციალურ-ფსიქოლოგიური დეტერმინანტები, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი, ყოველდღიური ფსიქოლოგიის ელემენტები საზოგადოების ცნობიერების სხვადასხვა დონეზე, რის შედეგადაც ხდება დანაშაული.

არასრულწლოვნის ცხოვრებისეული სიტუაციები, მისი აღზრდა აერთიანებს უკვე ორ საპირისპირო ტენდენციას, პიროვნებაზე თვისებრივი გავლენის მხრივ: ისინი ან დადებითად მოქმედებენ მასზე, რაც ხელს უწყობს დადებითი თვისებებისა და სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებას ან პირს დაუცველს ხდის არასასურველი გარე პირობებისა და კრიმინალური ხასიათის სიტუაციების წინაშე.

ყურადღება მინდა გავამახვილო და გამოვყო არასრულწლოვნებში დანაშაულის გამომწვევი რამდენიმე მიზეზი, ესენია:

- ✓ განათლება.
- ✓ ოჯახური პრობლემები
- ✓ არახელსაყრელი საცხოვრებელი გარემო
- ✓ მედია
- ✓ მოზრდილთა მხრიდან წაქეზება
- ✓ მართლშეგნების დაბალი დონე

მოკლედ განვიხილავ თითოეულ მათგანს:

სკოლა ის ადგილია, სადაც არასრულწლოვანი, თავისი დროის მეოთხედს ატარებს. ამ პერიოდში მათთვის ყურადღების მიქცევა მასწავლებლებს ან/და ადმინისტრაციას ევალებათ. სკოლა ასევე არის ის ადგილი, სადაც მოიძებნება ისეთი არასრულწლოვანი, რომელსაც მიდრეკილება აქვს კანონდარღვევისკენ და ხშირ შემთხვევაში ის მენტალურად სუსტ თანატოლს იყოლიებს ასეთ საქმიანობაში, ამის აღმოსაფხვრელად სკოლის ადმინისტრაციამ უნდა გამოიყენოს ყველა

სამართლიანი შესაძლებლობა რათა არ განმეორდეს მსგავსი შემთხვევები. რაც ჩემი აზრით, კატასტროფული მაჩვენებელია.

ოჯახური პრობლემები - ოჯახი არასრულწლოვნებში სოციალიზაციის, მისი კულტურული ღირებულებების, მსოფლმხედველობის და სხვა ფასეულობების ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. ოჯახი ეს არის პირადი გარემო ბავშვების, მოზარდების, ახალგაზრდების ცხოვრებისა და განვითარებისათვის. არასრულწლოვნის ცხოვრების რომელი მხარეც არ უნდა ავიღოთ, ყოველთვის აღმოჩნდება, რომ გადამწყვეტი როლი ეფექტურობაში პიროვნების განვითარების კონკრეტულ ასაკობრივ ეტაპზე ვერ ითამაშებს ვერცერთი საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო ინსტიტუტი, რაც არ უნდა სრულყოფილი იყოს იგი. ოჯახის არარსებობა ან ოჯახური პრობლემების არსებობა, პირიქით, თითქმის ყოველთვის ქმნის რეალურ სირთულეებს არასრულწლოვნების ჩამოყალიბებაში, რომელთა გადალახვა საზოგადოებამ დღემდე ვერ შეძლო. აქედან გამომდინარე მინდა აღვნიშნო, რომ ოჯახს აქვს უდიდესი როლი არასრულწლოვნის ჩამოყალიბებაში.

არახელსაყრელი საცხოვრებელი გარემო - ეს არასრულწლოვნებში დანაშაულის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიზეზია. დიდი ოჯახის პატარად გარდაქმნა, ერთშვილიანი და არასრული ოჯახების რაოდენობის ზრდა, ოჯახის დეზორგანიზაციამ გაზარდა არასრულწლოვნებში ოჯახს გარეთ კომუნიკაციის მოთხოვნილება, როგორც ერთგვარი კომპენსაცია მშობლებთან ემოციური კონტაქტის არარსებობის გამო. სკოლაში, სადაც მაღალი აკადემიური მოსწრება აქვს, ისიც ცუდად გრძნობდა თავს. ამრიგად, არასრულწლოვნის ცხოვრების სამი ძირითადი სფეროდან: ოჯახი, სკოლა, დასვენება - ორში ის თავს ცუდად გრძნობს. ოჯახისა და სკოლის არათავისუფალი გარემოდან წასვლით, მოზარდი ხვდება არაფორმალური დაჯგუფებების მორჩილებით გარემოში და რაც ყველაზე სამწუხაროა, ბევრ მათგანს არ სურს ან/და არ შესწევს უნარი დატოვოს ასეთი ჯგუფი. ხშირ შემთხვევაში აღმოჩნდება ისე, რომ ეს ჯგუფი ჰარმონიაშია მის შინაგან მესთან - უზრუნველყოფს წესრიგს, დაცვას, პოზიციის პრესტიჟს და სხვა.

მედია - მინდა ხაზგასმით აღვნიშნო თუ ვსაუბრობთ მედიის გავლენაზე არასრულწლოვანზე, პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ მათზე ინფორმაციული გავლენა. ისინი ქმნიან არაფორმალური განათლების სისტემას, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული განათლების სისტემისგან. ტელევიზია, ინტერნეტი და ფილმები აგრესიული ქცევის უნარის გამომუშავების ძლიერი წყაროა. ტელევიზიის საშუალებით, ბავშვებსა და მოზარდებს აქვთ მრავალი შესაძლებლობა, გაეცნონ აგრესიის მრავალფეროვან ფორმას საკუთარი სახლიდან გაუსვლელად.

მოზრდილთა მხრიდან წაქეზება - ცნობილია, რომ არასრულწლოვნები ბევრ დანაშაულს სჩადიან მოზრდილების გავლენის ქვეშ. წაქეზება არა მხოლოდ შეცდენაა, არამედ დანაშაულში მონაწილეობაც. წამქეზებლები ნებისმიერი გზით ცდილობენ არასრულწლოვნების დაყოლიებას, ყალბი ინფორმაციის მიწოდებით, ალკოჰოლით, ნარკოტიკული საშუალებებით და სხვა გზებით.

მართლშეგნების დაბალი დონე - ეს არის არასრულწლოვანთა სამართალდარღვევისა და დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი მიზეზი. არასრულწლოვნებმა არ იციან, რომ ზოგიერთი მორალური აკრძალვა სანქცირებულია კანონით და მრავალი ქმედება არა მხოლოდ მიუღებელია მორალის თვალსაზრისით, არამედ გულისხმობს პასუხისმგებლობას კანონის შესაბამისად.

## 2.2 არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნები

არასრულწლოვნებზე გამოყენებული სისხლის სამართლებრივი სასჯელის თანამედროვე მახასიათებლების განსაზღვრისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სასჯელის მიზნებს. მიზანშეწონილია სპეციალური წესების კონკრეტიზაცია, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის ზომების გამოყენების სპეციფიკას იმ პირობა მიმართ, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს მათი ასაკის სპეციფიკის,

ფიზიკური, გონებრივი და სოციალური განვითარების და პიროვნების პრიზმაში.

მანამ სანამ გადავალთ არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნებზე ახსნაზე მინდა აღვნიშნო, რომ არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან და სასჯელთან დაკავშირებული დეტალები მოცემული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და ის არეგულირებდა ამ საკითხს, მანამ სანამ საქართველოს პარლამენტმა არ მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი 2015 წლის 12 ივნისს. ამ კოდექსში გადავიდა ყველა ის საკითხი, რაც სისხლის სამართლის კოდექსში იყო მოცემული და დღეის მდგომარეობის არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების ეტაპებზე გამოიყენება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.

აღსანიშნავია ის, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა ახლებურად ჩამოაყალიბა არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მიზნები და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უნდა აღინიშნოს ასევე ის გარემოება, რომ სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და სასჯელი ერთმანეთისგან განსხვავდება. სრულწლოვანთა სასჯელის მიზნები სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლში იერარქიულად სხვაგვარად არის დალაგებული, ვიდრე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 65-ე მუხლში, კერძოდ სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლში იერარქია შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული:

1. სამართლიანობის აღდგენა
2. ახალი დანაშაულის თავიდან აცილება
3. მსჯავრდებულის რესოციალიზაცია.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 65-ე მუხლი გვიჩვენებს, რომ სასჯელის მიზნებიდან ამოღებულია სამართლიანობის აღდგენა, უნდა აღვნიშნო, რომ სამაგიეროს მიზლვა არცერთ სამართლებრივ

სისტემაში არ არის სამართლიანობს აღდგენა, თუ არ ჩავთვლით ჩვეულებით სამართლას, ანუ დაუწერელ კანონებს.

## 2.3 რესოციალიზაციის პროგრამები არასრულწლოვანთა

### სარეაბილიტაციო დაწესებულებაში

ამ დროისთვის ჩვენს საზოგადოებაში მწვავედ დგას მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა და დანაშაულის განმეორების აღკვეთის პრობლემა. რესოციალიზაციის პროგრამა მიზნად ისახავს მსჯავრდებულთა დანაშაულის განმეორების თავიდან აცილებას.

დამნაშავის რესოციალიზაციის წარმატების მიზანია ის, რომ დამნაშავისთვის მოხდეს ორიენტირებული, ინდივიდუალური და კომპლექსური რესოციალიზაციის პროგრამის შერჩევა, რითაც დამნაშავეს საზოგადოებაში ინტეგრაცია შედარებით გაუმარტივდება და თავს არ იგრძნობს საზოგადოებიდან გარიყულად. რესოციალიზაციის პროგრამები შეიძლება დავყოთ შემდეგნაირად:

ძალზედ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ პროგრამაში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი, პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ როგორც ოჯახის წევრებს, ისე პროგრამის ბენეფიციარებს. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ამ პროგრამის ფარგლებში სპეციალისტები 2 წლის განმავლობაში მუშაობენ ბენეფიციარებთან.

პროგრამის ქვაკუთხედს წარმოადგენს, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ინდივიდუალური მიდგომა, მათი საჭიროებების და შესაძლებლობების შესწავლა და ამის შემდგომ იწყება რესოციალიზაცია რეაბილიტაციის პროცესი. მნიშვნელოვანია, რომ ყოფილ მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია და რესოციალიზაციის პროგრამას გააჩნია შემდეგი სერვისები:

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული სერვისები ხელმისაწვდომია და მორგებულია თითოეული მსჯავრდებულის ინტერესებზე, საჭიროებებზე და ამ სერვისების ამოცანა არის:

ამოცანებიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პროგრამის ამოცანაა მსჯავრდებულების სრულფასოვანი რესოციალიზაცია და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. ცალსახაა, რომ პროგრამა თავის ამოცანას ვერ შეასრულებს თუ საზოგადოების ცნობიერება არ ამადლდება რესოციალიზაციის კუთხით, სწორედაც, რომ მართებულადაა ამოცანაში მითითებული საზოგადოების ცნობიერების ამადლება.

რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამა ხასიათდება თავისი ფუძემდებლური პრინციპებით, ეს პრინციპებია:

ეს პრინციპები ცალ-ცალკე და ერთად საბოლოო ჯამში ქმნიან ნდობის მაღალ ხარისხს როგორც მსჯავრდებულებისთვის, ისე საზოგადოების წევრებისთვის.

## 2.4 დასაქმების ხელშეწყობა

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკა მკვეთრად შეიცვალა ტექნოლოგიური განვითარების და გლობალური კონკურენციის თვალსაზრისით. ამ ცვლილებებმა სერიოზული გავლენა იქონია შრომის ბაზარზე.

ერთ-ერთი დიდი გამოწვევა, რომლის წინაშეც დგანან არასრულწლოვანი მსჯავრდებულები, მართლმსაჯულების თანამშრომლები, ქმნიან და ახორციელებენ პროგრამებს ამ არასრულწლოვნებისთვის, რომელიც პირდაპირ ეხება შრომის ბაზრისთვის მათ აყვანას და მომზადებას დამსაქმებლებისა და ინდუსტრიის მოთხოვნების შესაბამისად. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ სამუშაო ადგილები იცვლება ან/და იზრდება, დამსაქმებლის მოლოდინები და მოთხოვნები დასაქმებულის მიმართ იზრდება და მუშაობა მოითხოვს შემეცნებითი უნარის მაღალ დონეს, ვიდრე ოდესმე. საჭირო უნარ-ჩვევების გარეშე პოტენციური დასასაქმებელი მსჯავრდებულები სულ უფრო მეტად



გადადიან დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე, ნაკლებად კონკურენტუნარიანები არიან და სხვა. ხაზგასასმელია აგრეთვე ის, რომ დღევანდელი ეკონომიკის მდგომარეობა ამ პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს. დასაქმებულებს არ აქვთ მოლოდინი, რომ თავიანთ კარიერას ერთ დამსაქმებელთან შეიქმნიან. საინტერესოა თუ რა კომპეტენცია უნდა გააჩნდეს დასაქმებულს, სამსახურში ასაყვანად? ჩემი დაკვირვებით ეს კომპეტენციებია:

- ✓ რესურსები: განსაზღვრავს, აწყობს, გეგმავს და გამოყოფს რესურსებს.
- ✓ ინტერპერსონალური კომუნიკაცია: კარგად მუშაობს სხვებთან.
- ✓ ინფორმაცია: აგროვებს და იყენებს ინფორმაციას.
- ✓ სისტემები: ესმის რთული სისტემების
- ✓ ტექნოლოგია: მუშაობს სხვადასხვა ტექნოლოგიით და ტექნოლოგიებთან.

აღსანიშნავია, ის რომ .... სასიამონო ფაქტია, ინგლისურენოვანი კურსები რადგანაც თანამედრო ეპოქაში უცხო ენებისადმი მოთხოვნა დღითიდღე იზრდება და მეტ მნიშვნელობას იძენს, აქედან გამომდინარე ეს პირები მინიმალურ დონეზე მომზადებული შეხვდებიან ახალ გამოწვევებს.

მსჯავრდებულთა დასაქმება უნდა იყოს პრიორიტეტული სახელმწიფოსთვის, რადგანაც რესოციალიზაციის ეტაპზე დასაქმებაში ხელშეწყობა არის ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი მოცემულობა, რადგანაც მას უნდა გააჩნდეს საკუთარი შემოსავალი და რეალობისადმი ადაპტაციის შესაძლებლობა, რა თქმა უნდა შესაბამისი ფინანსების არარსებობით მსჯავრდებულნი ვერ შეძლებს ადაპტირებას. დასაქმებას შეუძლია ადაპტირება მოახდინოს ამ პირის ყოველდღიურობაში და მინიმალური დონეზე მაინც შეუქმნას სოციალური-ეკონომიკური პირობები. პირის დასაქმებაზე საუბრისას, აუცილებლად უნდა მოვიშველიოთ გაეროს მინიმალური წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ („ნელსონ მანდელას წესები“, 96-ე წესი), 96-ე წესში მითითებულია მათი დასაქმების

სტანდარტები და საქმიანობები, რომელიც პირისთვის, ღირსების შემლახავი შეიძლება იყოს.<sup>2</sup> საერთაშორისო კვლევების თანახმად, ყოფილ მსჯავრდებულთა და პატიმართა დასაქმება საგრძნობლად ამცირებს განმეორებითი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას,<sup>3</sup> რადგანაც პირის სოციალურ-ეკონომიკური და სხვა მდგომარეობა შედარებით იცვლება უკეთესობისკენ. 2011 წელს ევროპის კვაკერთა საბჭომ (QCEA) გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც შეჯამებულია წევრი ქვეყნების პატიმრობამდე და მის შემდეგ მსჯავრდებულთა დასაქმების სტატუსი. ფინეთის მაგალითის გათვალისწინებით, ბრალდებულთა 75%, უმუშევარი იყო განაჩენის გამოტანამდე, ხოლო სასჯელის მოხდის შემდეგ უმუშევართა რიცხვი 75% დარჩა, ესტონეთში მათი რაოდენობა 69% -ია, ხოლო სასჯელის მოხდის შემდეგ უმუშევართა რიცხვი 54% -მდე შემცირდა, კოსოვოში 75% დან 90% გაიზარდა.

საქართველოში არსებული სტატისტიკა ამბობს, რომ წლებია დანაშაულის სტატისტიკა არ იცვლება და რაოდენობრივად “დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ” აღემატება სხვა სახის დანაშაულის მაჩვენებლებს.<sup>4</sup>

დასაქმების ხელშეწყობისთვის აუცილებელია სახელმწიფოს ნება და მზაობა იმისათვის, რომ მსჯავრდებულებს შეუქმნან სათანადო, ღირსეული სამუშაო ადგილი, თავის მხრივ მსჯავრდებული მზად უნდა იყოს ახალი გამოწვევებისათვის და მათთან ადაპტაციისთვის.

### მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისათვის

ვთვლი, რომ თავისუფლების აღკვეთა, როგორც სასჯელის ყველაზე მკაცრი და უკიდურესი ფორმა, გამოყენებული უნდა იქნეს, უკიდურეს შემთხვევაში, თუ ნაკლებად მკაცრი სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს. ამიტომ, მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის

<sup>2</sup> [https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2018/07/MR\\_Guidance\\_Doc\\_Georgian\\_Web.pdf](https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2018/07/MR_Guidance_Doc_Georgian_Web.pdf)

<sup>3</sup> [https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment\\_data/file/217412/impact-employment-reoffending.pdf](https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/217412/impact-employment-reoffending.pdf)

<sup>4</sup> <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika>

ნაცვლად, შესაძლებელია გამოყენებული იქნას მაგალითად, ფულადი ჯარიმა, ასევე პირობითი მსჯავრი.<sup>5</sup>

ჩვენი ქვეთავის განსახილველი საკითხი ეხება მე-2 კატეგორიის სასჯელებს, რომლებიც წარმოადგენენ ალტერნატიულ და ნაკლებად მძიმე სასჯელს.

ცხადია, რომ ალტერნატიული სასჯელი ნიშნავს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული სასჯელისგან უფრო ეფექტური სასჯელის არჩევას. წინამდებარე კვლევის ძირითად მიზანს სწორედ იმ ალტერნატიულ სასჯელებზე მსჯელობა წარმოადგენს, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით არის გათვალისწინებული.

ჯარიმა - როგორც ალტერნატიული სასჯელის სახე, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად რეალური ალტერნატივაა ის, სასჯელის ისეთი სახისა, როგორცაა თავისუფლების აღკვეთა. ყველა საკითხს თავისი ისტორია აქვს. მათ შორის ქონებრივი დასჯის ისეთ საშუალებას, როგორც ჯარიმაა. ამიტომ შევეცადეთ სასჯელის ეს სახე ისტორიული გადმოსახედიდან შეგვესწავლა. პრობლემის აქტუალობას ხაზს უსვამს საქართველოში არსებული საკანონმდებლო ცვლილებები. სწორედ ამ ცვლილებების მხედველობაში მიღებით, უცხოური გამოცდილების გაზიარებით, ჯარიმის, როგორც ალტერნატიული სასჯელის სახის შესახებ, ჩვენი მოსაზრებები გადმოცემის შესაძლებლობა მოგვეცა. ყოველივე ეს კი სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.<sup>6</sup>

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,

ფინეთში სპეციალისტები თვლიან, რომ საზოგადოებრივი სანქციების ფართოდ გამოყენება უფრო მეტად შეუწყობს ხელს დამნაშავეს

<sup>5</sup> იხ. H. Frister, Strafrecht, Allgemeiner Teil, Verlag C.H. Beck, Munchen, 2006, S. 20.

<sup>6</sup> სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში გამომცემლობა "მერიდიანი" თბილისი 2016 გვ. 303-304

გამოსწორებას. ამიტომ, იქ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა გამოიყენება როგორც ძირითადი სასჯელი და შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად თუ თავისუფლების აღკვეთის ვადა არ აღემატება რვა თვეს.<sup>7</sup>

### გამასწორებელი სამუშაო

ალტერნატიული სასჯელების გამოყენებას შემდეგი უპირატესობები გააჩნია:

### 2.5 ფსიქოლოგის კონსულტაცია

ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას ფსიქოლოგის დახმარების როლი თუ, როგორ და რა ეტაპზე ესაჭიროება პირს და მის ოჯახს ფსიქოლოგის დახმარება, თუ რა მოქმედებებს ახორციელებს სახელმწიფო და ფსიქოლოგი პირის და მისი ოჯახის ფსიქიკური ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. ფსიქოლოგის დახმარებით პირს ეძლევა შესაძლებლობა, რომ რეაბილიტაციის და რესოციალიზაციის პროგრამებს გაუმკლავდეს და ახალ შეცვლილ გარემოებებს მოერგოს და მოახდინოს თავისი თავის მინიმალურ დონეზე უზრუნველყოფა, რადგანაც ის უკვე მენტალურად მზად არის ახალი შეცვლილი რეალობისათვის.

---

<sup>7</sup> იხ. [www.gtuc.ge/?p=1810](http://www.gtuc.ge/?p=1810) ალტერნატიული სასჯელი და უცხოური პრაქტიკა.

## თავი III. დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ

### 3.1. პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიზნები

აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე შეიძლება გამოვყოს რამდენიმე მნიშვნელოვანი ელემენტი, ესენია:

იურისპრუდენციაში კლასიკური გაგებით სამართალი იყოფა ორ ნაწილად საჯარო და კერძო სამართალი. საჯარო სამართლისგან განსხვავებით, რომელიც მოქმედებს ლეგალურობისა და კანონით შებოჭვის პრინციპით, კერძო სამართალი მხარეთა თანასწორობაზე, კეთილსინდისიერებაზე და ნებაყოფლობითობაზეა დაფუძნებული. თანამედროვე რეალობაში თავისი დატვირთვის და მნიშვნელობიდან გამომდინარე ცალკე სამართლის დარგად ჩამოყალიბდა და ამიტომაც არის სამართლის სამი დარგი: კერძო, საჯარო და სისხლის სამართალი.

უნდა აღინიშნოს ის, რომ პრობაციის სამართალი მიეკუთვნება ადმინისტრაციული სამართლის დარგს. უნდა ითქვას, რომ როგორც ყველა სამართლის დარგს გააჩნია ფუძემდებლური პრინციპები, პრობაციის სამართალსაც გააჩნია პრინციპები, რომელზე დაყრდნობითაც პრობაციის სამართალი ახორციელებს თავის ფუნქციონირებას. სააგენტოს გააჩნია თავის მიზნები.

საქართველოს პრეზიდენტის 22/03/2012 ბრძანებულება #235 არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის

### 3.2 პრობაციის ეროვნული სააგენტოს პრინციპები

✓

ამ პრინციპებს სამართლის თითოეულ დარგში გააჩნია თავის განმარტება, მნიშვნელობა, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და საზოგადოებრივი დატვირთვა. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

კანონიერების პრინციპი ტრადიციულად, სამართლებრივი სახელმწიფოს თეორიაში ცენტრალურ ადგილს იკავებს კანონის უზენაესობის პრინციპი. კანონიერების არსი მდგომარეობს კანონის და სუბიექტების, კერძოდ, მოქალაქეების, თანამდებობის პირების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ კანონების და რეგულაციების მუდმივ და ზუსტ დაცვაში, განხორციელებაში და გამოყენებაში. კანონიერების პრინციპები წარმოადგენს საზოგადოების სამართლებრივი ცხოვრების ფუნდამენტურ დებულებებს, რომლებიც გამოხატავს კანონიერების შინაარსს. ჩემი აზრით კანონიერების პრინციპები მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- ✓ კანონიერების ერთიანობა;
- ✓ კანონის უზენაესობა;
- ✓ კანონიერების კავშირი კულტურასთან;
- ✓ კანონიერების კავშირი მიზანშეწონილობასთან;
- ✓ კანონიერების უნივერსალობა;
- ✓ პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების გარანტია;
- ✓ კანონის დარღვევისათვის დასჯის გარდაუვალობა.

კანონიერების პრინციპის მნიშვნელობას ამ კონკრეტულ შემთხვევაში არსებითი და ფუნდამენტალური დატვირთვა აქვს რადგანაც პირები რომლებიც სასჯელს იტანენ დაწესებულებაში იმყოფებიან, არიან მოწყვლადი ჯგუფი და მათთვის უფლებების, პატივისა და ღირსების შელახვა უფრო მარტივადაა შესაძლებელი.

### პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის პრინციპი

ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვის პრინციპი ადამიანის და სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის პრინციპის განხორციელების ერთ-ერთი გამოხატულებაა.

კანონის უზენაესობის, დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების იდეები მჭიდრო კავშირშია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფასთან. ამისათვის საჭიროა არა მხოლოდ მატერიალური უფლებების დაცვა, ისეთი როგორცაა საკუთრების უფლება, არამედ არამატერიალური უფლებების დაცვაც. აღსანიშნავია, რომ საბაზრო ურთიერთობების და საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე გარდაქმნებთან ერთად, განსაკუთრებით აქტუალობას იძენს არამატერიალური უფლებებისა და სარგებლის დაცვა.

არამატერიალური უფლებების სისტემაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია პატივისა და ღირსების უფლებას/პრინციპს. ამ უფლებების დაცვა გარანტირებულია საერთაშორისო ნორმატიული სამართლებრივი აქტებითა და ეროვნული კანონმდებლობით, მაგალითად:

მინდა აღვნიშნო, რომ დემოკრატიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშანი და პრინციპია ადამიანის უფლებების, პატივისა და ღირსების პატივისცემა. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ადამიანის განვითარება, რომელიც თავის ცხოვრებას უმაღლესი ზნეობრივი ფასეულობების - სიკეთის, სამართლიანობის, პატივის, სინდისის, ღირსების საფუძველზე აშენებს, შესაძლებელია მხოლოდ თავისი თავის პატივისცემის პირობებში, ე.ი. მისი უფლებების, პატივის და ღირსების პატივისცემა. ადამიანის პატივისა და ღირსების პატივისცემა ხასიათდება სამართლისა და ზნეობის ნორმებზე დაფუძნებული ურთიერთობების, თავისუფლებისა და ურთიერთპასუხისმგებლობის პრინციპებზე, სახელმწიფოს, საზოგადოებას და პიროვნებას, სხვადასხვა ინდივიდებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის.

დღეისათვის არც ერთი ნორმატიული სამართლებრივი აქტი არ იძლევა პატივისა და ღირსების ცნებების ამომწურავ იურიდიულ დეფინიციას. ჩემი დაკვირვებით იურიდიულ მეცნიერებაში არაერთი მცდელობა იყო ადამიანის პატივისა და ღირსების განსაზღვრების ჩამოსაყალიბებლად. თეორიაში შემოთავაზებული განმარტებების

ანალიზის საფუძველზე, იურიდიული თვალსაზრისით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ავტორებს შორის არ არსებობს მნიშვნელოვანი უთანხმოება იმასთან დაკავშირებით, თუ რას ნიშნავს პატივი და ღირსება.

ღირსება არის ადამიანის ღირებულებითი დამოკიდებულება საკუთარი თავის მიმართ და სხვა ადამიანების დამოკიდებულება მის მიმართ. ღირსება არის თვითშეგნების და თვითკონტროლის გამოხატვის ფორმა, რომელზეც აგებულია ადამიანის მომთხოვნებაზე საკუთარი თავის მიმართ. ღირსება მჭიდრო კავშირშია პიროვნების ისეთ თვისებებთან, როგორცაა სინდისი, პატივი, პასუხისმგებლობა.

მინდა აღვნიშნო, რომ კატეგორიები "პატივი" და "ღირსება" მჭიდრო კავშირშია, მაგრამ განსხვავდება. ღირსება ემყარება ყველა ადამიანის ზნეობრივი და სამართლებრივი თანასწორობის პრინციპს და არ არის დამოკიდებული პიროვნების სოციალურ მნიშვნელობაზე, ხოლო "პატივის" ცნების შინაარსი მოიცავს საზოგადოების მხრიდან ინდივიდის სოციალური მნიშვნელობის შეფასებას, რაც დამოკიდებულია მისი საქმიანობის ტიპზე, მორალურ თვისებებზე და ა.შ.

#### ჰუმანიზმის პრინციპი

ჰუმანიზმი, უპირველეს ყოვლისა, არის მსოფლმხედველობა, რომელიც გამომდინარეობს იქიდან, რომ ადამიანი არის უმაღლესი, თვითკმარი და თვითშეგნების ღირებულება, არაადამიანურად მიიჩნევა ყველაფერს, რაც ხელს უწყობს მის გაუცხოებას და უარყოფს „ზეაადამიანი“ არსებობის იდეას. მინდა გამოვყო აქედან, ჰუმანიზმი, როგორც მსოფლმხედველობა გამოხატავს დამოკიდებულებას ადამიანის მიმართ ორი მხრიდან.

- ✓ ერთი მხრივ, იგი ცნობს ადამიანის პიროვნების სოციალურ ღირებულებას
- ✓ მეორე მხრივ, უარყოფს ყველაფერს, რაც შეუთავსებელია მის ასეთ შეფასებასთან.



ამ მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, საზოგადოებაში ყალიბდება შეხედულებები და იდეები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეთ და რა არ უნდა გავაკეთოთ.

სამართლებრივ ისტორიაში ყველაზე დიდი ჰუმანიზმის, ჰუმანურობის გამოვლინებად უნდა ჩავთვალოთ ის, რომ გასული საუკუნის ბოლოს საქართველოში სიკვდილით დასჯის გაუქმება მოხდა.

### დემოკრატიულობის/საჯაროობის პრინციპი

აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფო აპარატის ორგანიზაცია და საქმიანობა ემყარება პრინციპთა ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავს მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, განსაკუთრებით კი სტატუსს. სახელმწიფო აპარატის ინსტიტუტის გაუმჯობესების ერთ-ერთი თეორიული პრობლემაა ზოგადად სახელმწიფო აპარატის პრინციპების სისტემატიზაციისა და, განსაკუთრებით, ამ პრინციპების სახელმწიფო აპარატის ფორმირება და ფუნქციონირება. აღსანიშნავია ის, რომ სახელმწიფო აპარატის ორგანიზაციისა და ფორმირების პრინციპები დგინდება მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებში და ობიექტურად ასახავს სახელმწიფო აპარატის არსს და მიზანს. თანამედროვე სახელმწიფოში სახელმწიფო აპარატის ფორმირების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპია დემოკრატიის პრინციპი, რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოვლინებაა იმ პირთა საქმიანობის სრული და მუდმივი შესაბამისობა, რომლებიც ემსახურებიან მოქალაქეთა, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს. სახელმწიფო აპარატის ფორმირებაში დემოკრატიის პრინციპის დანერგვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ეს პრინციპი გამოიხატება მოქალაქეთა ფართო მონაწილეობაში სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის ფორმირებასა და ორგანიზებაში, რაც, საბოლოოდ, საშუალებას იძლევა მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესების რეალიზებას. დემოკრატიის პრინციპი გულისხმობს საზოგადოების უშუალო მონაწილეობას საკანონმდებლო

საქმიანობაში, აგრეთვე საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებას ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შემუშავებასა და მიღებაში.

ჩემი აზრით, დემოკრატია, როგორც სახელმწიფო აპარატის ფორმირების პრინციპი გამოიხატება იმაში, რომ მისი დახმარებით ხორციელდება ხალხის უფლება მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფორმირებაში და ურთიერთობის ჩამოყალიბებაში ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის. დემოკრატიის პრინციპი გულისხმობს, რომ წარმომადგენლობითი და პირდაპირი დემოკრატიის მექანიზმები და ინსტიტუტები უნდა ჩამოყალიბდეს ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში, რომელთა დახმარებით მოქალაქეებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში, დაიცვან უფლებები და თავისუფლებები.

სააგენტოს სისტემის ერთიანობისა და მისი

ცენტრალიზებული მართვის პრინციპი

სააგენტოს სისტემის ერთიანობისა და მისი ცენტრალიზებული მართვის პრინციპი - გულისხმობს ისეთი მართვის ფორმას, რომელიც საზოგადოებაში სააგენტოს წარმოაჩენს როგორც ერთიან ცენტრალიზებულ ორგანოს. არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 29 დეკემბრის №903 ბრძანებაში მოცემულია ის მართვის ორგანოები, მიზნები, პრინციპები, სტრუქტურა, უფლებამოსილებები და მიდგომები, რომლითაც პრობაციის სააგენტო ხელმძღვანელობს თავის საქმიანობაში.

კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი

კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი არის დამოუკიდებელი კონსტიტუციურად დაცული იურიდიული ღირებულება. ის განიხილება,

როგორც თანამედროვე სახელმწიფოს განუყოფელი ნიშანი. თანასწორობის პრინციპი განმტკიცებულია კანონის წინაშე თანასწორობის ან უფლებებისა და თავისუფლებების თანასწორობის გზით. ამ პრინციპის შინაარსი შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად: საზოგადოების თითოეული მონაწილის უფლებებისა და თავისუფლებების ერთნაირი უზრუნველყოფა, ანუ რეალურ ურთიერთობებში თანასწორობის უზრუნველყოფა, აგრეთვე თითოეული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისა და დაცვის ეფექტური მექანიზმის შექმნა და ფუნქციონირება.

კანონის წინაშე თანასწორობა არის დემოკრატიისა და კლასიკური ლიბერალიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპია.

რეზუმეს სახით უნდა აღვნიშნო, რომ სასჯელადსრულებით დაწესებულებაში კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი ნაკლებად არის დაცული და გარანტირებული.

### 3.3. ალტერნატიული სასჯელების მნიშვნელობა

#### 3.4. სოციალური მუშაკის ფუნქციები და პრინციპები

სოციალურ მუშაკთა ნაციონალური ასოციაციის თანახმად, არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მუშაობის სტანდარტები, მიდგომა და სპეციფიკა უნდა განსხვავდებოდეს სრულწლოვანებთან მუშაობის სპეციფიკისაგან. სასჯელის მოხდის ყველა ეტაპზე მუშაობას თავისებურებები აქვს.

სოციალური მუშაკის როლი არის მისთვის მინდობილი პირებისთვის მატერიალური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, მათი სოციალური და სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა.

სოციალური მუშაკი ვალდებულია სოციალური მუშაობის ჩატარებისას გაითვალისწინოს შემდეგი პრინციპები:

## დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის, როგორც სასჯელის ერთ-ერთი უმთავრესი მიზნის, მნიშვნელობა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების საზოგადოებაში რეინტეგრაციის თვალსაზრისით.

სამაგისტრო ნაშრომში შეფასებულია თუ რა დატვირთვა აქვს სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამებს სასჯელის მიზნების განხორციელებისათვის. ნაშრომში მიმოხილულია ასევე არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი მიზეზები, დასაქმების ხელშეწყობის მნიშვნელობა, ფსიქოლოგის კონსულტაციის და სოციალური მუშაკის როლი, ალტერნატიული სასჯელების მნიშვნელობა, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების და დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ჩართულობა მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში და ა.შ. აღნიშნული საკითხების გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ შემდეგი სახის დასკვნა:

სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფომ პატივი სცეს და დაიცვას ადამიანის უფლებები, განსაკუთრებით კი ბავშვის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები.

ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში არასრულწლოვნები განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობენ. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა. ახალგაზრდა თაობისადმი ზრუნვა ასახულია სახელმწიფოს საქმიანობის სხვადასხვა სფეროში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შემუშავება აღიარებულია, როგორც თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ მიღწევად.

სახელმწიფოს სიძლიერე მდგომარეობს არასრულწლოვნების კეთილდღეობაში, სიძლიერეში, განათლებაში, მათთვის ნათელი, პერსპექტიული მომავლის დასახვაში, დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებაში და მსოფლმხედველობის გაფართოებაში.

ადამიანის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი სწორედ მის სრულწლოვანებამდე დგება, რაც დიდ გავლენას ახდენს არასრულწლოვნის მომავალზე, მისი აზროვნების ჩამოყალიბებასა და ცხოვრების სტილზე. აქედან გამომდინარე, კანონმდებლობა მათზე იმდენად მორგებული, დახვეწილი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უნდა იყოს, რომ არასრულწლოვნების პერიოდში ჩადენილი დანაშაული რაც შეიძლება უმტკივნეულოდ, ნაკლები ტვირთით აისახოს მის ცხოვრებაზე.

მიუხედავად მრავალმხრივი პროგრამებისა, რომლებიც სახელმწიფოს აქვს შემუშავებული და დანერგილი, არასრულწლოვანთა დანაშაული კვლავ მთავარ გამოწვევად რჩება ჩვენს სახელმწიფოში. ამიტომ მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამების დახვეწა და განვითარება, რაც ხელს შეუწოებს არასრულწლოვანთა წარმატებულ რეინტეგრაციას საზოგადოებაში და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.